ოქმი N11

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეხუთე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2024 წლის 18 ოქტომბერი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 22 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 21 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ქავთარაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ქონების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის ქარიატის ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენლობაში შემავალი სოფლების: გამოღმა და გაღმა ქარიატის ქუჩების სახელდების შესახებ “ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: გ. ჩაბალუხა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის ძველი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულის საჭანიოს უბანში N4 ქუჩისთვის ნინი კონჯარიას სახელის მინიჭების თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: გ. ჩაბალუხა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0,

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ლ. ადანაია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ქონების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით ქარიატის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე მდინარე ხობისწყალზე, სოფლების გაღმა-გამოღმა ქარიატის დამაკავშირებელი ხიდის დემონტაჟის შედეგად მიღებული ქონება, რომლის წონა სავარაუდოდ 11 ტონას შეადგენს, აუდიტის შეფასების საფუძველზე მისი გამოყენება შეუძლებელია და შეფასდა ჯართად. მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია მიღებული მეორადი მასალის პრივატიზება, რომლის საწყისი ღირებულება შეადგენს 1578 ლარს და 50 თეთრს. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0,

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ლ. ადანაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N23 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის ქარიატის ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენლობაში შემავალი სოფლების: გამოღმა და გაღმა ქარიატის ქუჩების სახელდების შესახებ " განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: გ. ჩაბალუხა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის
უფროსი)

მოისმინეს: გ. ჩაბალუხა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ქარიატის ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენლობაში შემავალი სოფლების: გამოღმა და გაღმა ქარიატის ქუჩების სახელდების შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარეს (ბ. მამაცაშვილი) წარმოედგინა დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ბ. მამაცაშვილი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მუნიციპალიტეტის მერიას ერთობლივი განცხადებით მიმართა ქარიატის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობამ, სადაც ისინი ითხოვდნენ სოფელ გაღმა ქარიატაში არსებულ ქუჩებს მინიჭებოდა შემდეგი სახელები: N1 ქუჩას - წმინდა გიორგის ქუჩა; N2 ქუჩას - წმინდა ნინოს ქუჩა; N3 ქუჩას - ლაზეთის ქუჩა; N4 ქუჩას - აიეტის ქუჩა. სოფელ გამოღმა ქარიატაში არსებულ N1 ქუჩას 2008 წლის აგვისტოს ომში საქართველოს ერთიანობისათვის დაღუპული ლევან ჭოჭუას,

ხოლო N2 ქუჩისთვის სიკეთით და განსაკუთრებული ადამიანური თვისებებით აღსავსე მათივე თანასოფლელის ემზარ წურწუმიას სახელი. გამომდინარე იქედან, რომ ლევან ჭოჭუას გარდაცვალებიდან 20 წელი არ იყო გასული, საკრებულოში შემოსულ წერილზე კომისიის მიერ ჩატარდა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, სადაც გამოკითხულთა სრულმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა სახელდების საკითხს, რის საფუძველზეც საკრებულოზე მიღებულ იქნა განკარგულება „ხობის მუნიციპალიტეტის ქარიატის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე სოფელ გამოღმა ქარიატაში არსებულ N1 ქუჩისთვის ლევან ჭოჭუას სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე". რის შემდეგაც საკითხი გადაეგზავნა გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიას, საიდანაც მიღებული თანხმობის საფუძველზე საკრებულოს სხდომაზე განსახილველად კომისიის მიერ წარმოდგენილ იქნა მერიის მიერ მომზადებული განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ქარიატის ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენლობაში შემავალი სოფლების გამოღმა და გაღმა ქარიატის ქუჩების სახელდების შესახებ". გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0,

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ლ. ადანაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N24 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის ძველი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულის საჭანიოს უბანში N 4 ქუჩისთვის ნინი კონჯარიას სახელის მინიჭების თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: გ. ჩაბალუხა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: გ. ჩაბალუხა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ძველი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულის საჭანიოს უბანში N4 ქუჩისთვის ნინი კონჯარიას სახელის მინიჭების თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარეს ბ. მამაცაშვილს წარმოედგინა დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ბ. მამაცაშვილი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მუნიციპალიტეტის მერიაში შევიდა ძველი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულის საჭანიოს უბნის მოსახლეობის ერთობლივი განცხადება ტრაგიკულად დაღუპული ახალგაზრდა გოგონას ნინი კონჯარიას სახელის უკვდავყოფის მიზნით, მისი სახელის ძველი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე არსებული N4 ქუჩისთვის მინიჭების თაობაზე. გამომდინარე იქედან, რომ ნ. კონჯარიას გარდაცვალებიდან არ იყო გასული 20 წელი, მერიის მხრიდან წარმოდგენილ იქნა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ძველი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე არსებული N4 ქუჩისთვის ნინი კონჯარიას სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“. საკრებულოში შემოსულ წერილზე კომისიის მიერ ჩატარდა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, სადაც გამოკითხულთა სრულმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა სახელდების საკითხს. რის შემდეგაც საკითხი გადაეგზავნა გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიას, საიდანაც მიღებული თანხმობის საფუძველზე საკრებულოს სხდომაზე განსახილველად კომისიის მიერ წარმოდგენილ იქნა მერიის მიერ მომზადებული განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ძველი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულის საჭანიოს უბანში N4 ქუჩისთვის ნინი კონჯარიას სახელის მინიჭების თაობაზე“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0,

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ლ. ადანაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N25 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე

მეხუთე მოწვევის საკრებულოს 2024 წლის 18 ოქტომბრის სხდომაზე დამსწრე

საკრებულოს წევრთა სია

1. ლევან ქავთარაძე
2. მამუკა ქარდავა
3. ნუგზარი შუშანია
4. გოჩა ქაჯაია
5. მედეა თათარიშვილი
6. ვლადიმერ ქანთარია
7. ლევანი ლიპარტია
8. ზექა მამაცაშვილი
9. აკაკი მალანია
10. ქეთევან კვირიკაშვილი
11. ჯანსუღი ჯიმკარიანი
12. მზია ლემონჯარია
13. ბადრი რიჟამაძე
14. კობა გერგაია
15. აკაკი ხურცილავა
16. ზექა ხარბედია
17. მაკა ჩარტია
18. გივი ლატარია
19. ფრიდონ კუკავა
20. თამარი ქირია
21. ირაკლი ზაქარაია